პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ივლისი, შაბათი, 1987 წ.
№ 143 (9554) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

# ფიცს დებენ ნორჩი სპორტსმენები




**რესპუბლიკის** ყველა ქალაქი ჩინებულად მოემზადა ნორჩების სპორტული ფორუმის გამართვისათვის. სპორტსმენებს, მათ დამრიგებლებს ყველა პირობა შეუქმნეს არა მარტო წარმატებით გამოსვლისა და ინტენსიური ვარჯიშისათვის, არამედ შინაარსიანი დასვენებისთვისაც. ეს აღინიშნა 23 ივლისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ მონაწილე გუნდების წარმომადგენლებისა და სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტისა და შტაბების წევრების შეხვედრაზე. ფაქტობრივად, ეს შეხვედრა ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონია გახდა.

შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ გ. თალაკვაძემ.

ნორჩ სპორტსმენებს გზა დაულოცეს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. შუბლაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. შარაშიძემ, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. თედიაშვილმა, სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გრომიკომ.

ასპარეზობის ყველა მონაწილის სახელით რუსეთის სფსრ ნაკრები გუნდის წევრმა ე. ორლოვამ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს ასპარეზობის ჩინებული ორგანიზაციის, დასვენების, რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის გაცნობის პირობებისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობაზე ჩამოსული ყველა სპორტსმენისადმი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ლაღიძე, რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრის შემდეგ ნორჩი სპორტსმენების წინაშე გამოვიდა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური".

(საქინფორმი).

## ძვირფასო მეგობრებო!

**მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებო!**

**სიხარულით მოგესალმებით ქართულ მიწაზე!**

**ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დიდი სასკოლო ზეიმი მიმზიდველი, საინტერესო, სიხარულის მომტანი და შედეგიანი იქნება.**

**ექვსი ათასი ნორჩი სპორტსმენი — საბავშვო სპორტული სკოლის აღსაზრდელი — გამოვა ამ შეჯიბრებაში თავისი საზოგადოების, ორგანიზაციისა და ნაკრების ღირსების დასაცავად.**

**აღმზრდელებმა საბჭოთა სპორტის მომავალი ჩვენ მოგვანდეს. მათ სწამთ, რომ ესტაფეტა საიმედო ხელში გადავიდა. გავამართლოთ მათი იმედები!**

**გამოცილებისას თქვენ წარმატებები და გამარჯვებები გისურვეს. აქ კი შეგხვდნენ სიტყვებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. წარმატებები და გამარჯვებები მოგეპოვებინოთ ქართულ მიწაზე!" და ეს მარტო ლამაზი სიტყვები არ იყო.**

**ნორჩ სპორტსმენთა უმრავლესობისათვის ეს თამაშები პირველი საკავშირო შეჯიბრებაა, პირველი სერიოზული გამოცდა, რომელიც დიდი სპორტის „მშვენიერ მომავალს" გვპირდება.**

**ვებმებით ასპარეზობაში იმ სურვილით, რომ ერთხელ კიდევ გამოვცადოთ ძალა და შესაძლებლობა კეთილშობილურ, რაინდულ დიდ სპორტში, სადაც მეტოქენი მეგობრდებიან და იმავ დროს მეტოქეებად რჩებიან, სადაც მეტოქის ღირსება გვიბიძგებს გავხდეთ უფრო სრულყოფილი, სადაც გამარჯვება არ გაგვაქედმაღლებს და გაგვაყოყოჩებს, დამარცხება იმედს არ გადაგვიწურავს.**

**ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორია მაღალი ოსტატობის, გულადობის, პატრიოტიზმის მაგალითებითაა სავსე. თითოეული ჩვენგანი მოვალეა გაამდიდროს, ახალ საფეხურზე აიყვანოს ეს თვისებები!**

**მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სერგეი ბუბკამ თამაშების მონაწილეებს გზა დაულოცა და უთხრა, რომ მან არ იცის „არავითარი ჯადოსნური რეცეპტი წარმატების მისაღწევად... მთავარია შრომა... სისტემატური თვითანალიზი, შეცდომების, რისგანაც დაზღვეული არავინაა, დროული გამოსწორება. წარუმატებლობის შემთხვევაში ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროთ — მხოლოდ მაშინ დამარცხდებით, როდესაც მეტოქეს შინაგანად დანებდებით. რაც მთავარია, უნდა გიყვარდეთ სპორტი".**

**დაე, ეს სიტყვები გახდეს სახელმძღვანელო თითოეული ჩვენგანისათვის არა მარტო თამაშების პერიოდში, არამედ მთელი სპორტული ცხოვრების მანძილზე!**

**დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს თამაშები ტარდება საერთო სახალხო აღმავლობის პირობებში, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე დიდი გარდატეხებითაა გამოწვეული.**

**თითოეული ჩვენგანი გამუდმებით გრძნობს პარტიის, მთავრობის ზრუნვას. ჩვენთვის შენდება ახალი სპორტული კომპლექსები, ეწყობა საკავშირო სპორტული ასპარეზობები, ჩვენს ბედს საუკეთესო სპორ-**



**ტსმენი-მწვრთნელები განაგებენ. ჩვენც მზად ვართ მათ ზრუნვას კარგი სწავლით, დაძაბული მუშაობით, ახალი მიღწევებითა და რეკორდებით ვუპასუხოთ.**

**ჩვენ ინტერნაციონალისტი სპორტსმენები ვართ!**

**ჩვენ ვიბრძვით დედამიწაზე მშვიდობის დასამკვიდრებლად. მხარს ვუჭერთ პატიოსან, სამართლიან ბრძოლას მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში.**

**მოგიწოდებთ თქვენ, საკავშირო თამაშებზე ჩამოსულთ, იყოთ თქვენს სახელოვან წინამორბედთა საქმის ღირსეული განმგრძობნი, მხარი გაუსწორეთ საბჭოთა სპორტის მარჯვენაფლანგელებს. ვისწავლოთ მათგან არა მარტო ის, თუ როგორ მივაღწიოთ წარმატებებს სპორტში, არამედ ისიც, როგორ გავხდეთ ნამდვილი მოქალაქე! წინ დიდი მნიშვნელობის მქონე სტარტებია, წინ გზა იშლება ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდებისაკენ.**

**გისურვებთ სარეკორდო დროს და სარეკორდო სიმაღლეებს! დაე, უძლიერესებმა გაიმარჯვონ!**

# გამოცდებს აბარებენ მძლეოსნები

**სპორტსკოლების** მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მონაწილეთა ასაკი უკვე ყველასათვის ცნობილია — 14-16 წელი. ნორჩი სპორტსმენები მეტად სერიოზულ გამოცდას აბარებენ. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც მძლეოსანთა ასპარეზობა, რომელიც 22 ივლისს დაიწყო თბილისის „დინამოს" სტადიონზე (უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების გახსნის ცერემონიალი სადად, ლამაზად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა). მძლეოსნები პირველ დღეს საერთო ფიზიკურ მომზადებაში აბარებდნენ ნორმატივებს და თითოეულს სამ-ოთხჯერ უწევდა სტარტზე გამოსვლა. აქ მიღებულ ქულებს თეორიულ ცოდნაში მიღებული შეფასება ემატებოდა.

სასიხარულოა, რომ საერთოფიზიკურ მომზადებაში ჭაბუკთა შორის **ყველას თბილისის 51-ე სკოლის მერვეკლასელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ აჯობა** (მწვრთნელი ლეონიდ დარახველიძე). მან გამოცდა ფრიადზე ჩააბარა და 20 ქულა დაიმსახურა. ვინაიდან კიდევ რამდენიმე სპორტსმენი გახდა ფრიადოსანი, მსაჯებმა გადაწყვიტეს გამარჯვებული ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოევლინათ. ამ დისციპლინაში კი უძლიერესი სწორედ ბოლქვაძე აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გავიდა დიმიტრი მალიუგინი (რსფსრ, განათლების სამინისტრო), მესამეზე — სერგეი ალექსინიუკი (დასავლეთი ზონა).

გოგონათა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლ. გრიბანოვა (რსფსრ, განათლების სამინისტრო) — 20 ქულა (ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 2,45); 2. ი. ტაუტვესი (პროფკავშირები-I) — 2,40; 3. ლ. ტატავრასოვა („უროჟაი") — 2,30.

ორიოდე სიტყვა შეჯიბრების ძირითადი ნაწილის დებულებაზე. მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებიან ცალკეულ სახეობებისგან შედგენილ მრავალჭიდში, რომელთა თავიანთი ნომრები აქვთ. მაგალითად, № 10 ითვალისწინებს ასპარეზობას შუბის ტყორცნასა და 60 მეტრზე რბენაში. შეჯიბრება მრავალჭიდში, რასაკვირველია, ნორჩი სპორტსმენების ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება, თუმცა იგი, როგორც აღვნიშნეთ, ძნელ ამოცანის წინაშე აყენებს შეჯიბრების მონაწილეებს, თითოეულ მათგანს ხომ 5-6-ჯერ უწევს სარბიელზე გამოსვლა.



**მძლეოსანთა საერთო ფიზიკურ მომზადებაში ჭაბუკთა შორის თბილისელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ ოქროს მედალი დაიმსახურა.**

ჩვენი გუნდის წევრებს პირველ დღეს გათამაშებული მედლების კომპლექტიდან არც ერთი არ მოუპოვებიათ ალექსანდრე ბოლქვაძის გარდა, მრავალჭიდში წარმატებით დაიწყო გამოსვლა ბათუმელმა ვადიმ ბობილიოვმა, რომელმაც ძირითად სახეობაში— 110 თარჯრბენში აშკარად დაჩაგრა მეტოქეები — 14,8 აჩვენა და 0.. წამით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული ივან იარემჩუკი (უკრაინის განათლების სამინისტრო... ნდი). პრიზიორთა შორის შეუ... მოხვდეს თბილისელ დიანა ...ბ...

იხ. მე.2 გვ



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში

**ამ** დღეებში მოსკოვის პროფკავშირთა საცხენოსნო-სპორტულ კომპლექსში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატის შერჩევითი ასპარეზობის შემდეგ 8-წლიანი და უფროსი ასაკის ცხენების შერჩევითი საკონკურო გამოსვლების შემდეგ, ახალგაზრდა ლიტველ მხედარს რაიმონდას უდრაკისს სერიოზულ მეტოქედ არავინ თვლიდა, რადგან აქ იყვნენ უფრო გამოცდილი მხედრები, მათ შორის—ზამთრის ჩემპიონატის გამარჯვებული გუდაუთელი ხარლამ სიმონია.

მაგრამ ფინალურმა ასპარეზობამ ოქროს მედალი უდრაკისს არგუნა (ცხენი დეკორაცია). ვერცხლის მედალი კი ხერსონზე სიმონიას ერგო. ბრინჯაოსას 6-10-წლიანი ცხენებით ასპარეზობის გამარჯვებული მოსკოველი ა. ტიმჩენკო დაეუფლა გოროსკოპზე.

### თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# მაჟორული დასაწყისი

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირის ასეთ მაჟორულ დასაწყისს, გულახდილად უნდა გითხრათ, ველოდით კიდეც. ველოდით იმიტომ, რომ ქვემძიმე და მძიმე წონებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უძლიერესი მოჭიდავეებით იყო წარმოდგენილი (მძიმეში — აკაკი კიბორძალიძე და ავთანდილ გუბელაძე, ქვემძიმეში — კობა კურტანიძე). კიდევ იმიტომ, რომ ამ წონებში ჩვენი ფალავნების გამარჯვება უკვე კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. და ბოლოს კიდევ იმიტომაც, რომ ამ წარმატებისა თბილისის სპორტის სასახლეში მოსულ გულშემატკივრებს გულწრფელად სჯეროდათ.



კობა კურტანიძე

მაგრამ ერთი ეჭვი მაინც გულს გვღრღნიდა. მძიმე წონებში იყო მოჭიდავე, რომლის გამარჯვებას მოულოდნელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ უწოდებდით. ეს გახლდათ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი.

ტიტულები ვერიჩევს კიბორძალიძესთან შედარებით მეტი აქვს. ეს მისი პირველი და მთავარი უპირატესობა გახლდათ, ვინაიდან ტიტულები გამოცდილებას ნიშნავს, გამოცდილება კი ასეთ ტურნირში სულ ადვილად შეიძლებოდა წარმ...



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა აკაკი კიბორძალიძე.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## გამოცდებს აბარებენ მძლეოსნები

დასასრული

ვილს, რომელმაც მე-2 შედეგი აჩვენა 60 მ რბენაში — 6,5, აგრეთვე ხარაგაულელ მადონა წიქარაშვილს — 7,5 (№ 8 მრავალჭიდი). ამ სახეობებში, რომლებშიც უკვე



თარჯრბენი 110 მეტრზე.

დამთავრდა შეჯიბრება, VI იყო თბილისელი ტატიანა პიკალოვა (№ 10 მრავალჭიდი, შუბის ტყორცნა და 60 მ. რბენა).

**კვარცხლბეკი**

**გოგონები. მრავალჭიდი № 9. (ბადრო+ 60მ.).** 1. ნ. კოპტიუხი (პროფკავშირები-I, — 44,70+8,4) — 16 ქულა. 2. ნ. გურსკაია —12. 3. ს. იოკუმა (ორივე — დასავლეთი ზონა) — 10... 12. ხ. იობიძე — 1.

**მრავალჭიდი № 10 (შუბი+60 მ.).** 1. ო. ფოროსტიანი (განათლების სამინისტრო, უკრაინა — 50,80+8,4) — 26 ქულა; 2. ო. იარიგინა (პროფკავშირები-I) — 12; 3. ა. იაროშჩიკი (განათლების სამინისტრო, ბელორუსია) — 10.

**ჭაბუკები. მრავალჭიდი № 15 (ურო+60 მ).** 1. ვ. ოსტაპენკო („უროჟაი“, 63,76+7,1) — 16 ქულა; 2. ვ. პოტიომკინი (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 12; 3. რ. ლეონოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 10.... 11. ლ. ჩიტაიშვილი (თბილისი) — 2

**მრავალჭიდი № 16 (შუბი+60 მ).** 1. დ. მედვედევი (განათლების სამინისტრო, რსფსრ—54,70+7,3) — 16 ქულა; 2. ო. ხრიჩენკო (განათლების სამინისტრო, რსფსრ) —12; 3. დ. პოლუშკო („დინამო“) —10... 8. ს. აბაევი (ცხინვალი) 5.... 13 ი. პატარაშვილი (თბილისი) — 0... 20. კ. ქართველიშვილი (ბათუმი) —0.

**მრავალჭიდი № 14 (ბადრო+60 მ.).** 1. ა. შურკო („დინამო“, 44,30+7,3) — 16 ქულა; 2. პ. ჩერნოოკი (დასავლეთი ზონა) — 12; 3. ა. შაპრანი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 10... 8. კ. სუჯაშვილი (თბილისი) — 5.

**შენიშვნა:** გუნდს ჩასათვლელ ქულას აძლევს 12 საუკეთესო.



ჭაბუკთა გარბენი 1000 მეტრზე.

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** საქართველოს მძლეოსანმა გოგონამ, ხარაგაულელმა მადონა წიქარიშვილმა პირველი მედალი მოიპოვა ნომერ მესამე მრავალჭიდში (ბირთვის კვრა — 12,50 მ, რბენა 60 მ— 8,3 წამი, ბადროს ტყორცნა — 34,20 მ). იგი გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელია. მისი მწვრთნელია ყარამან საბანაშვილი.

**გუშინვე** ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა იგორ ვორონოვმა № 10 მრავალჭიდში: სიგრძეზე ხტომა — 661 სმ, რბენა 60 მეტრზე — 7,1 წამი, სიმაღლე — 175 სმ. ი. ვორონოვი თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელია, მას სერგეი აივაზიანი და ოლეგ კასოევი ავარჯიშებს.

**თამაშების** მასალები მოამზადეს „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა: **ავთანდილ გურასაშვილმა, როდიონ ქორქიამ, ნოდარ გუგუშვილმა, გიორგი ჩოჩიშვილმა, დავით ჭელიძემ, თამაზ ხარაბაძემ, ლეილა სუხელიანმა, ვაჟა დანელიამ** და **ალექსანდრე კოტორაშვილმა** (ფოტო).

## საქართველოს ნაკრები ლიდერთა შორის

**თბილისის** სპორტკომიტეტის ფრენბურთის ღია მოედნებზე 22 ივლისს საზეიმოდ გაიხსნა ფრენბურთელთა ასპარეზობა. იქვე დიპლომები გადასცეს რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდის წევრებს ევგენი სოკოვსა და ალექსანდრე პოდტინჩენკოვს, საქართველოს ნაკრების წევრს რომან პავლოვს, რომლებმაც საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში ნორმატივების ჩაბარებისას შესაბამისად I, II, III ადგილები დაიკავეს.

როგორც ვიუწყებოდით, ასპარეზობის პირველ დღეს რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა იოლად მოუგო „დინამოს“ — 3:0 (15:4, 15:6, 15:6). სამხრეთი ზონის ფრენბურთელებს არ გასჭირვებიათ „უროჟაის“ დამარცხება — 3:1 (12:15, 15:3, 15:10, 15:9).

საქართველოს გუნდმა პროფკავშირების II ნაკრებთან შეხვედრაში ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე. ეს უპირატესობა განსაკუთრებით მეორე და მესამე პარტიების დასაწყისში იგრძნობოდა, როცა ჩვენი გუნდი ორჯერვე დაწინაურდა 8:0. საქართველოს სპორტსმენებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 3:0 (15:10, 15:10, 15:4).

**ექსპრესკომენტარი**

**ვაჟა კაჭარავა — ოლიმპიური ჩემპიონი:**

**პროფკავშირების II ნაკრები ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივია ამ ტურნირზე, ამიტომ მასთან ჩვენი ბიჭების გამარჯვებამ განსაკუთრებით გაგვახარა. ამ თამაშში გამოჩნდა, რომ ჩვენი გუნდი ფიზიკურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად არის მომზადებული. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ საქართველოს ფრენბურთელებმა სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები...**



პირველი დღის ბოლო შეხვედრაში უკრაინელმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს დასავლეთი ზონის გუნდი 3:0 (15:8, 15:13, 15:6).

სხვა შეხვედრები: 23 ივლისი. „ა“ ჯგუფი. უკრაინა — საბჭოთა არმია 3:0 (15:12, 15:7, 15:8). დასავლეთი ზონა — პროფკავშირები-II. 3:1 (15:13, 11:15, 15:8, 15:6). „ბ“ ჯგუფი. რუსეთის ფედერაცია — სამხრეთი ზონა 3:1 (15:13, 15:10, 4:15, 15:5). პროფკავშირები-I—„დინამო“ 3:0 (15:9, 15:4, 15:6).

გუშინ გაიმართა მესამე ტურის მატჩები. რუსეთის ფედერაციის გუნდმა დაამარცხა „უროჟაი“ — 3:1 (15:6, 15:6, 12:15; 15:11), სამხრეთის ზონის ნაკრებმა — პროფკავშირები-I — 3:1 (13:15, 15:12, 15:11, 15:7), საქართველოს ფრენბურთელებმა მოუგეს დასავლეთის ზონის ნაკრებს — 3:0 (15:9, 15:6, 15:10). საბჭოთა არმიისა და პროფკავშირები-II-ის შეხვედრაში საბჭოთა არმიელებმა იმარჯვეს — 3:2 (17:15, 15:10, 1:15, 15:17, 15:11).

**ფრენბურთის თამაშების განრიგი**

**25 ივლისი. „ა“ ჯგუფი. 10.00** უკრაინა — პროფკავშირები-II, **17.30.** საბჭოთა არმია — საქართველო, **„ბ“ ჯგუფი. 10.00** „დინამო“ — სამხრეთის ზონა, **19.00.** პროფკავშირები-I — „უროჟაი“.

**26 ივლისი. „ა“ ჯგუფი. 10.00** დასავლეთის ზონა — საბჭოთა არმია. **17.30.** საქართველო — უკრაინა. **„ბ“ ჯგუფი. 10.00.** რუსეთის ფედერაცია — პროფკავშირები-I, **19.00** „უროჟაი“ — „დინამო“.

## ველოსიპედებით გზატკეცილზე

**გუშინ** დაიწყო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა შეჯიბრება. ჩატარდა საგზატკეცილო გუნდური რბოლა გოგონებისთვის 25, ჭაბუკებისთვის — 50 კილომეტრზე.

გოგონათა შეჯიბრების სტარტზე 10 კოლექტივი გამოვიდა, მაგრამ ამ სახეობაში საქართველოს ნაკრები, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა, იმთავითვე განწირული იყო. მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა მას ცხადია არც შეეძლო. აქ ფავორიტებად პროფკავშირების, სამხრეთი ზონისა და „შრომითი რეზერვების“ ველოსიპედისტები ითვლებოდნენ. საპრიზო ადგილებიც სწორედ ამ სამმა კოლექტივმა გაინაწილა, ოღონდ გამარჯვება სამხრეთის ზონის ველოსიპედისტებს დარჩათ. საქართველოს წარმომადგენლებმა კი ბოლო, X ადგილი დაიკავეს.

გაცილებით უკეთ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკები 50-კილომეტრიან დისტანციაზე. პირველი მოსახვევის შემდეგ მეექვსე შედეგი ჰქონდათ. ტემპი შემდგომშიც შეინარჩუნეს და საბოლოოდ VII ადგილი დაიკავეს თერთმეტ გუნდში.

კვირას თბილისის ზღვის მიდამოებში გაიმართება ჯგუფური რბოლა.

გთავაზობთ პირველი დღის ტექნიკურ შედეგებს:

**გოგონები. 25 კმ.** 1. სამხრეთი ზონა (ე. დობრინინა, ი. ლი, ... საპრინსკაია, ა. გურინა) — 33.12,65; 2. პროფკავშირები-II (ლ. ანტონოვა, ო. კუზნეცოვა, მ. პრუდნიკოვა, ნ. სტოროჟენკო, ნ. ხრაპენკოვა) — 33.49,20; 3. „შრომითი რეზერვები“ (ო. ბუდაევა, დ. ბუდაიტე, ზ. ურბონაიტე, ე. ტიმოფეევა) — 33.51,66; 4. რუსეთის ფედერაცია — 34.04,40; 5. დასავლეთი ზონა — 34.12,16; 6. „დინამო“ — 34.22,05; 7. „უროჟაი“ — 34.34,85; 8. პროფკავშირები-I — 35.14,05; 9. უკრაინა — 35.25,25; 10. საქართველო (ელენე პონომარენკო, ოლგა საპრიკინა, ელენე ფოკინა, ელიზავეტა შახპარონიანი) — 37.01,49.

**ჭაბუკები. 50 კმ.** 1. საბჭოთა არმია (ვ. აბრამოვი, ს. ბორტნიკოვი, ს. ბიკოვი, დ. ბეზუგლი) — 1:00.28,63; 2. სამხრეთის ზონა (ტ. კულბაევი, ა. შეფერი, ვ. ბუჩინი, ვ. ტარასენკო) — 1:00.39,51; 3. რსფსრ (ი. ბოგდანოვი, დ. მაზდნევი; გ. ტრუმგელერი, ს. შევკუნოვი, ს. შეფოვი) — 1:01.02,48; 4. „შრომითი რეზერვები“ — 1:01.05,80; 5. პროფკავშირები-I—1:01.05,81; 6. „დინამო“ — 1:01,06,66; 7. საქართველო (ნორმან მჭედლიძე, ვიქტორ ოვანესიანი, ალექსანდრე პავლუხინი, მამუკა შუბითიძე) — 1:01.42,39; 8. უკრაინა — 1:01.58,89; 9. პროფკავშირები-II—1:02.35,91; 10. „უროჟაი“ — 1:03.05,37: 11. დასავლეთის ზონა — 1:03.33,70.



## ჩინებულადაა ორგანიზებული

**ვიდრე** ხობის საცურაო აუზში მიმდინარე შეჯიბრებაზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის შესახებ გიამბობდეთ, ვიტყვით, რომ 50-100 მეტრზე ცურვაში ჯერ წინასწარი, შემდეგ ორი („ა“ და „ბ“) ფინალური ასპარეზობები იმართება. „ა“ ფინალური გაცურვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთავარია, „ბ“ —მეორეხარისხოვანი. დანარჩენ დისტანციებზე, აგრეთვე, ესტაფეტებში ერთი ფინალური შეჯიბრება ტარდება.

იმისათვის, რომ სპორტსმენმა თავის გუნდს ჩათვლა მისცეს, მე-16 ადგილზე მაინც უნდა გავიდეს.

როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კონსტანტინე რეშეტნიაკმა გვითხრა, ჩვენი გუნდი მე-8, მე-6 ადგილებისთვის იბრძოლებს.

ამართლებენ თუ არა ამ იმედს ჩვენი მოცურავეები? ასპარეზობის პირველ დღეს ფინალში საქართველოს წარმომადგენელთაგან მხოლოდ თბილისელი თეა წიკლაური გავიდა. თეამ 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გამართულ წინასწარ შეჯიბრებაში მე-6 შედეგი (1.20,68) აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი. ჩვენი გუნდის ზოგიერთი გულშემატკივარი წიკლაურისაგან საპრიზო ადგილს ელოდა, რადგან იგი მხოლოდ წამით ჩამორჩა მესამე ადგილზე გასულს. სამწუხაროდ, თეამ სალამოს შედეგი გააუარესა და 1.21.32 აჩვენა, რაც მხოლოდ მე-8 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. თუმცა ფინალში დილანდელი შედეგიც რომ ეჩვენებინა, მე-7 ადგილს მაინც ვერ გასცდებოდა.

წიკლაურმა გუნდს 9 ქულა მოუტანა.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რუსთაველმა კარენ ჯეირანიანმა 4.43,86 აჩვენა და მე-16 ადგილით გუნდს 1 ქულა შესძინა.

პირველი დღის შედეგების მიხედვით გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გოგონათა ნაკრები მე-7 ადგილზეა, ბიჭებისა — მე-8 ადგილზე. საერთო გუნდურ პირველობაში ჩვენი გუნდი 65 ქულით მეშვიდეა. ლიდერობს პროფკავშირების I ნაკრები. მომდევნო ადგილზე ამავე ნაკრების II კოლექტივია, III-ზე — რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდი.

**ექსპრესკომენტარი**

**ანატოლი პიმენოვი** — **საკავშირო სპორტსახკომის ცურვის წამყვანი სპეციალისტი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი:** **შეჯიბრება ჩინებულად და ორგანიზებულად ტარდება, რაც შეეხება შედეგებს, ჯერ დასკვნების გამოტანანაადრევია. ჯერჯერობით პრიზიორი მოცურავეები ისეთ შედეგებს აჩვენებენ, რაც ამ ასაკის სპორტსმენებს მოეთხოვებათ. ალბათ, შეამჩნიეთ, რომ გოგონების მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ბიჭებისა. ესეც ბუნებრივია, ამ ასაკის გოგონები ხომ ბიჭებზე უკეთესად არიან ფიზიკურად განვითარებული.**

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## მოჭადრაკეებმა კარგად დაიწყეს

სამტრედიაში შეკრებილი გოგონებისა და ბიჭების 10-10 გუნდი სამ ჯგუფად გაიყო.

„ა“ ჯგუფი: დასავლეთი ზონა, უკრაინა, „უროჟაი“.

„ბ“ ჯგუფი: საბჭოთა არმია, პროფკავშირები-I, სამხრეთი ზონა, საქართველო.

„გ“ ჯგუფი: პროფკავშირები-II, „შრომითი რეზერვები“ და რსფსრ.

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა ფინალში გასასვლელად 3 მატჩი უნდა გამართოს, სხვა ჯგუფებში მოხვედრილმა მოჭადრაკეებმა კი — 2-2.

**უნდა ითქვას, რომ სტარტი შთამბეჭდავია! შეჯიბრების დაწყებამდე ათივე გუნდის 90 მონაწილე ერთმანეთს შეეჯიბრა ფიზმომზადებაში, ჭადრაკის ისტორიისა და თეორიის ცოდნაში. ეს „წინასწარი ტურნირი“ ქართველი გოგობიჭების გამარჯვებით დამთავრდა. მათ I ადგილები მოიპოვეს და სპეციალური დიპლომებიც მიიღეს.**

პირველ ტურში ქართველი მოჭადრაკეები საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ჩვენი გოგონების წარმატება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ბიჭების დიდი იმედი არ გვქონდა. შიში უსაფუძვლო გამოდგა. **ბიჭებმა ძლიერი მეტოქე ანგარიშით 4:2 დაამარცხეს, გოგონებმა კი შეხვედრა მშრალი ანგარიშით — 3:0 მოიგეს.** აი, ვინ რა წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში (დაფების მიხედვით): რომან სიჭინავა (ცხაკაია) — ალექსანდრე ნიკიტინი — 1:0, აკაკი იაშვილი (თბილისი) — ანდრეი მოკრიაკი— 0,5:0,5, დავით უთნელიძე (თბილისი) — იური კრილოვი — 1:0, შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი) — ანატოლი პოპილოვი — 0:5:0,5. იოსებ კვირიაშვილი (გურჯაანი) — ბორის მოლდავსკი — 0:1, გივი ქორიძე (ჩოხატაური) — ბურდო უსმანოვი — 1:0, სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი) — მარია მონაკოვა — 1:0, თეა ლანჩავა (ქუთაისი) — ვენერა საბიროვა — 1:0, ნინო ხურციძე (თბილისი) — სვეტლანა ჟუჩკოვა — 1:0. შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს რომან სიჭინავამ და სოფიკო ნიკოლაძემ.

ერთი სიტყვით, გოგონებმაც და ბიჭებმაც კარგად აიღეს სტარტი, მაგრამ წინ დიდი ბრძოლაა — ფინალში ხომ ჯგუფიდან მხოლოდ ორ-ორი გუნდი გადის.

**I ტურის სხვა შეხვედრები:**

„ა“ ჯგუფი. **ბიჭები:** „უროჟაი“ — საკავშირო განათლების სამინისტრო (დასავლეთის ზონა) — 4,5:1,5; **გოგონები.** იგივე გუნდები: 1,5:1,5.

„ბ“ ჯგუფი. **ბიჭები:** საკავშირო პროფკავშირთა I ნაკრები — საკავშირო განათლების სამინისტრო (სამხრეთი ზონა) — 4,5:1,5; **გოგონები.** იგივე გუნდები: 1,5:1,5.

„გ“ ჯგუფი. **ბიჭები:** რსფსრ განათლების სამინისტრო — „შრომითი რეზერვები“ — 6:0; **გოგონები.** იგივე გუნდები: 3:0.



## პირველ შეხვედრაში — ფრე

**გუშინ** დაიწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირი.

დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს ფეხბურთელთა შეხვედრა დასავლეთი ზონის ნაკრებთან (ეს გუნდი დაკომპლექტებულია ლიტვისა და ბელორუსიის მოსწავლეებით).

პირველ ტაიმში დაწინაურდა საქართველოს ნაკრები, ბურთი გაიტანა ნემსაძემ — 1:0. შესვენების შემდეგ მასპინძლებს კვლავ ხელთ ეპყრათ უპირატესობა, მაგრამ მათი მეტოქეც მეტი მონდომებით და ენერგიით იბრძოდა, „დასავლეთელთა“ ერთ-ერთი შეტევა საპასუხო გოლით დამთავრდა. შემდგომში იმავე ნემსაძემ 11-მეტრიანით კვლავ დააწინაურა საქართველოს ნაკრები, მაგრამ ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 2:2.

ეს მატჩი გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგა, „ლოკომოტივის“ სტადიონზე კი გაიმართა ორი შეხვედრა: პროფკავშირების პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა საბჭოთა არმიის გუნდი, უკრაინის განათლების სამინისტროსა და „შრომითი რეზერვების“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა უკრაინელთა გამარჯვებით — 1:0.

## ნახევარფინალისტები

**ქუთაისი.** მართალია, მოკრივეთა ტურნირზე გამარჯვებულები და პრიზიორები 27 ივლისს გაირკვევიან, მაგრამ მედლების პირველი კომპლექტი უკვე განაწილდა. საერთო ფიზიკურ, სპეციალურ, თეორიულ და ტექნიკურ მომზადებაში გამარჯვებისთვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ სერგეი მარტინოვს, ვალერი ნეფედოვს და ბორის კუშტინს (სამივე—„შრომითი რეზერვები“).

რაც შეეხება თვით ტურნირს, პირველ დღეს ა. გევორქიანისა და მ. კოლუაშვილის გარდა მეოთხედფინალში გავიდნენ: კ. ჩიქვინიძე (50 კგ), მ. აბსარიძე (54), ა. ქაჩიბაია (60), ლ. კალანდაძე (63), თ. ბუაძე (74), 23-24 ივლისს გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები, სადაც კვლავ შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს ნაკრების წევრები. 13 მათგანმა უკვე შოიპოვა ნახევარფინალში გამოსვლის უფლება და, როგორც მინიმუმი, ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.

ა. გევორქიანმა (44 კგ) და მ. კოლუაშვილმა (52) შესაბამისად დაამარცხეს ე. პოგოდინი (პროფკ.-I) და ი. შელეგი (დასავლეთის ზონა).

თანაგუნდელებს კარგად აუბეს მხარი გ. აბდალიანმა (79). დაამარცხა ს. მარტინოვი („შრ. რეზერვები“), ა. ბუდიანცმა (85) სძლია ა. მიტროფანოვს (პროფკ.-I), კ. ესოიანმა (48) — ვ. დაშკინს (პროფკ. I), რ. ბიკვაიძემ (57) — ს. ნოჩევს („დინამო“), კ. ტურავამ (70) — მ. ანდრეევს (დასავლეთი ზონა).

გუშინ ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს აგრეთვე კ. ჩიქვინიძემ (50), ა. ოჩიგავამ (66), თ. ბუაძემ (74), ვ. აბსარიძემ (46), გ. აბსარიძემ (54) და ლ. კალანდაძემ (63).

## თელავი ესალმება სტუმრებს

**ჩვენი** რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან ერთად თელავიც გულმოდგინედ მოემზადა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებისათვის. იგი მასპინძლობს შეჯიბრებებს მაგიდის ჩოგბურთსა (24-29 ივლისი) და ბადმინტონში (3-9 აგვისტო). მზადება რამდენიმე თვის წინ დაიწყო და ახლა მთლიანად დამთავრდა. რაიონული საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ფანცქალა ნაცვლიშვილი ყოველდღიურად აკონტროლებს გაწეულ სამუშაოებს. აქცენტი თავიდანვე სპორტული თამაშების სკოლაზე აიღეს. სწორედ აქ ჩატარდება შეჯიბრებები ორივე სახეობაში. წამოიჭრა წყლის პრობლემა, მაგრამ დაიდგა 15-ტონიანი ავზი, რომელიც უზრუნველყოფს შენობის მომარაგებას ცივი და ცხელი წყლით. სკოლის პირველ სართულზე დამატებით კიდევ ერთი საშხაპე მოაწყვეს. ხელახლა შეიღება კედლები, იატაკი. გაარემონტეს ელექტროტაბლო, განათება, რადიოკვანძი, მიმდინარეობს შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ეზოში ასფალტს აგებენ, გაკეთდა ბეტონის ბორდიურები. წარმოებს გამწვანების სამუშაოები და სხვა. უახლოეს დღეებში დედაქალაქიდან ელოდებიან ახალ სპორტულ ინვენტარს.

ასპარეზობის მონაწილე ნაკრებ გუნდებს მიუჩინეს შეფი ორგანიზაციები, ასე მაგალითად, უკრაინის სსრ განათლების განყოფილების ნაკრებს შეფობას უწევს რკინა-ბეტონის ქარხანა, საზოგადოება „დინამოს“ ნაკრებს — ადგილმრეწველობის კომბინატი, საქართველოს ნაკრებს — ავტოსატრანსპორტო გაერთიანება. ისინი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ საშეფო გუნდებს. თითოეულ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს გართობისა და დასვენების პროგრამა — შეჯიბრებისგან თავისუფალ დღეებში მოეწყობა ექსკურსიები, სტუმრები გაეცნობიან ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაესწრებიან სპეციალურად მათთვის გამართულ კონცერტებს.

ქალაქში გამოჩნდა შეჯიბრების აფიშები. თელაველები მოუთმენლად ელიან თამაშების დაწყებას.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

### თაობათა ესტაფეტა

როდესაც ქართველმა ველოსიპედისტმა ომარ ფხაკაძემ ბასკეთის ქალაქ სან-სებასტიანში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ეს ახალგაზრდა სპორტსმენები — საკავშირო თამაშების მონაწილენი დაბადებულნიც არ იყვნენ. ნორჩი სპორტსმენები დიდი ინტერესით უსმენენ სახელგანთქმულ ჩემპიონს — კუიბიშეველი ანატოლი კერინი, ჟიტომირელი ელენა დენისიუკი. თბილისელები ვიქტორ ოვანესიანი და ნორმან მჭედლიძე.

თაობათა ესტაფეტა გრძელდება!



## ნიჩბოსნებმა დაიწყეს...

**გუშინ** ფოთში, კაპარჭინაზე გაიმართა მობაიდარეთა და კანოისტთა შეჯიბრების პირველი 18 ..... 500 მეტრზე ერთადგილიანი ნავებით მოასპარეზენი ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოდნენ. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ მარინა საენკო, ნინო მუსოევა, კობა დუნდუა, პაატა გუჯაბიძე (ბაიდარა), ირაკლი ხოშტარია და გოჩა გიგიბერია (კანოე). ნახევარფინალში გასვლა მხოლოდ მცხეთელმა ნინო მუსოევამ შეძლო. ორადგილიანმა ეკიპაჟმა ბრძოლა ნახევარფინალიდან დაიწყო. საუკეთესონი პირველ ფინალში ხვდებოდნენ, სადაც გათამაშდება I-VI ადგილები. ჩვენი ნიჩბოსნებიდან პირველ ფინალში გასვლის უფლება მოიპოვეს ფოთელმა კანოისტებმა ხვიჩა გიგიბერიამ და ბენო ოჩიგავამ. მობაიდარეთა ორი წყვილი — ხათუნა ლომიძე — ნინო წურწუმია და ზურაბ ფილია — მალხაზ ცაავა მეორე ფინალში (VII-XII ადგილები) გამოვა.

## ფიცარნაგზე გამოდიან ძალოსნები

**22 ივლისს** ცხინვალის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ძალოსანთა შეჯიბრება. სასპარეზოდ შეიკრიბა 10 გუნდის 103 სპორტსმენი.

**გთავაზობთ ორჭიდში ჩვენი ძალოსნების შედეგებს:** 52 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს წარმომადგენელი არ გამოსულა; 56 კგ. თეიმურაზ ქომეთიანი— 185 (82,5-102,5) — X ადგილი; 60 კგ. რობერტ მურადოვი — 202,5 (92,5-110) — VIII ადგილი.

### თამაშები ილუსტრაციებში







სურათებზე: ოლიმპიურ ჩემპიონებს ლევან თედიაშვილსა (მარცხნივ) და ვალერი ბორზოვს ამ დღეებში ყველგან შეხვდებით მოსწავლეთა შეჯიბრებებზე; ველოსპორტში ასპარეზობის საზეიმო გახსნა; სპორტსმენებს თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ნორჩი თბილისელი მოცეკვავეები.

## თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# მაყურული დასაწყისი

დასასრული

ტების მთავარი მიზეზი გამხდარიყო. მაგრამ თავის მეტოქესთან შედარებით ერთგვარი უპირატესობა კიბორძალიძესაც ჰქონდა. სახელდობრ ის, რომ ვერიჩევზე 6 წლით უმცროსი და 16 კილოგრამით უფრო მძიმე იყო (ვერიჩევის წონაა 121 კილოგრამი, კიბორძალიძისა — 137).

პირველ წრეში ვერიჩევი ისვენებდა, ამიტომ ფინალამდე სამი შეხვედრა ჩაატარა, ორი წმინდად მოიგო და ერთი — ქულებით. მეტ-ნაკლებად მას გუბელაძესთან გამარჯვება გაუჭირდა, რომელსაც სამი ბრძოლა უკვე ჰქონდა მოგებული და თავადაც ფინალში გასვლას ლამობდა. ასე იყო თუ ისე, ჩელიაბინსკელმა გუბელაძის სახით გზიდან ჩამოიცილა ერთი უხერხული მეტოქე და ფინალში მეორის წინაშე წარსდგა.

ამასობაში მეორე, „ბ“ ჯგუფიდან ფინალისაკენ გზას კიბორძალიძე მიიკვლევდა. მან ყველა შეხვედრა ერთის გარდა დროზე ადრე დაასრულა, თანაც შებოჭვით.

ვერიჩევმა გადამწყვეტი ბრძოლა აქტიურად დაიწყო, მაგრამ კოკა, რომელმაც იგი დააწინაურა, საკმაოდ მარტივ სიტუაციაში მიიღო და ისიც კიბორძალიძის უყურადღებობის გამო. ერთი წუთი არც იყო გასული და ანგარიში გათანაბრდა. ახლა უკვე კოკა ქართველ მოჭიდავეს მიეკუთვნა.

მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში ვერიჩევმა ალბათ ვერ გაითვალისწინა თავისი მეტოქის ღონე და მასა, სცადა შეტევის დაწყება, მაგრამ თავად აღმოჩნდა კრიტიკულ სიტუაციაში და კიბორძალიძის გოლიათურ მკლავებს თავი ველარაფრით დააღწია. შებოჭვა, რომელმაც ქართველ ძიუდოისტს გამარჯვება მოუტანა, დამთავრდა ბრძოლის დაწყებიდან 4 წუთისა და 19 წამის შემდეგ.

ქვემძიმე წონაში ფავორიტად, ცხადია, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპისა და ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი



ასე შებოჭა კიბორძალიძემ მეტოქე.

კობა კურტანიძე ითვლებოდა. პირველი ოთხი ბრძოლა ფინალამდე მან სწორედ ჩემპიონის სტილში ჩაატარა. მაგრამ მეორე ჯგუფიდან ასევე დამაჯერებლად მიიწევდა გადამწყვეტი ბრძოლისაკენ კოლომნელი ევგენი პეჩუროვი — ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი 21 წლის ყმაწვილი, რომელმაც შარშან თავის ცხოვრებაში ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია — მსოფლიო ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის.

ერთი სიტყვით, ფინალში ერთმანეთს ორი ღირსეული მეტოქე შეხვდა. ორივე თამამად და გაბედულად იბრძოდა, მაგრამ არც ერთს გამოუვიდა რაიმე, არც მეორეს. ასეთ შემთხვევაში, როცა ტექნიკურ ქულას მეტოქეები ვერ აგროვებენ, საბოლოო სიტყვას შუამავალი მსაჯი ამბობს. მისი აზრი კანონია. არბიტრმა მეტი ინიციატივისა და აქტიურობისათვის გამარჯვება კობა კურტანიძეს მიაკუთვნა. მაყურებელმა გამარჯვებული, ცხადია, ტაშით დააჯილდოვა, მაგრამ დამარცხებულსაც მისი წილი აპლოდისმენტები მიუზღა. პეჩუროვი ამის ღირსი იყო.

ძიუდოისტთა თბილისის XVIII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი (შეჯიბრებაში მონაწილეობს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა — თექვსმეტი) საქართველოს მოჭიდავეთათვის კარგად დაიწყო. ორი წონა — ორი ჩემპიონი. ვნახოთ რას მოგვიტანს სამი მომდევნო კალენდარული დღე და ექვსი დარჩენილი წონა.

### ექვსი კვარტალიდან

**მძიმე წონა.** აკაკი კიბორძალიძე (საქართველო, ქუთაისი). თანმიმდევრულად დაამარცხა: სიმონ უჩაძე (სსრ კავშირი, სოჭი), ბატარდენ ბატმანიამბოგი (მონღოლეთი), ტენიე ბინევი (ბულგარეთი), იშტვან დუბოვსკი (უნგრეთი) და ფინალში გრიგორი ვერიჩევი (სსრ კავშირი, ჩელიაბინსკი).

**გრიგორი ვერიჩევმა დაამარცხა:** ვალერი პარუნაშვილი (საქართველო, თბილისი), დამე სტოიკოვი (ბულგარეთი), ავთანდილ გუბელაძე (საქართველო, ქუთაისი) და დამარცხდა აკაკი კიბორძალიძესთან.

**პრიზიორები.** 1. აკაკი კიბორძალიძე, 2. გრიგორი ვერიჩევი, 3. იშტვან დუბროვსკი და ბატმანიამბოგი.

**ქვემძიმე წონა.** კობა კურტანიძე (საქართველო, გორი) დაამარცხა: ანატოლი კოუცინი (სსრ კავშირი, კრასნოიარსკი), ბრაიან ჯორმინი (აშშ), დიმიტრი სოლოვიოვი (სსრ კავშირი, ჩირჩიკი), ევგენი დოლინინი (სსრ კავშირი, მინსკი) და ფინალში ევგენი პეჩუროვი (სსრ კავშირი, კოლომნა).

**ევგენი პეჩუროვმა დაამარცხა:** ვალერი დივისენკო (სსრ კავშირი, ბრიანსკი), გიუნტერ ნოიროიტესი (გფრ), ბალჯინიამ ოტ ბოგში (მონღოლეთი), იური პარშინი (სსრ კავშირი, მოსკოვი) და დამარცხდა კობა კურტანიძესთან.

**პრიზიორები.** 1. კობა კურტანიძე, 2. ევგენი პეჩუროვი, 3. იური პარშინი და ევგენი დოლინინი.

### გუშინ...

**თბილისის სპორტის სასახლეში გამოვლინდნენ ჩემპიონები კიდევ ორ წონაში. 86 კგ-ში გაიმარჯვა ალექსანდრე ხივცოვმა (სსრ კავშირი, კურსკი) 78 კგ-ში კი ვიტალი ბუდიუკინმა (სსრ კავშირი, მოსკოვი).**

## შედეგი ძალაში დარჩა

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მოსკოვის „სპარტაკისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩის ამბავი ყველამ კარგად იცის. იგი სერიოზული ხასიათის შეცდომებით ჩატარდა, თამაშის არბიტრს ომსკელ ვ. კუზნეცოვსა და გვერდით მსაჯს კრასნოდარელ ვ. სმაგინს მკაცრი სასჯელები გამოუტანეს, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა კი განიხილა უშუალოდ მატჩის ტექნიკური შედეგი — 2:2. სხდომამდე ლაპარაკი იყო, რომ შესაძლოა მატჩი გადაეთამაშებინათ.

მაგრამ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა მატჩის შედეგი საბოლოოდ დაამტკიცა, „სპარტაკს“ და „დნეპრს“ გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაეწერათ.

პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო ჩემპიონატის მსაჯობიდან გადაყენებულია ბაქოს „ნეფთჩისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ არბიტრი კ. დორონინი (მოსკოვი), მსაჯობა აეკრძალათ, აგრეთვე, ერევნის „არარატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ არბიტრს ა. ხორლინს და მის დამხმარეს ა. შარგაევს (ორივე მსაჯი მოსკოველია).

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ საკავშირო ჩემპიონატის მსაჯობა კვლავ და კვლავ ერთობ არადამაკმაყოფილებელია. მსაჯთა საკავშირო კოლეგია თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობებს, ამიტომ უახლოეს სხდომაზე განიხილება საკითხი მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მუშაობის გასაუმჯობესებლად, საამისოდ შეიქმნა საგანგებო კომისია.

## თექვსმეტწლიანთა შორის

**კანადაში** დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი 16 წლამდე ფეხბურთელთა შორის.

საბჭოთა სპორტსმენები ნახევარფინალში შეხვდნენ კოტ დივუარის ნაკრებს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:1 (3:0). ანგარიში დასაწყისშივე გახსნა სოხუმელმა არუთინიანმა, შემდეგ კასიმოვმა და იმავე არუთინიანმა კიდევ თითო გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. შესვენების შემდეგ კასიმოვმა და რუსინმა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, ხოლო ერთი [illegible] ბურთი გა[illegible] შეძლო აფრიკელმა ბედამ.

მეორე ნახევარფინალში იბრძოდნენ ნიგერიისა და იტალიის გუნდები, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ნიგერიელებმა.

25 ივლისს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ნიგერიის გუნდები (წინასწარ ჯგუფში მათი მატჩი ერთმანეთთან ფრედ დამთავრდა — 1:1). გუშინ მესამე ადგილისთვის ითამაშეს იტალიისა და კოტ დივუარის გუნდებმა.

## პრეზიდენტის განცხადება

**ოტავა, 22 ივლისი.** აქ მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბრაზილიელი ჟოაო ავილანჟი.

პრეზიდენტმა პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს კანადის საფეხბურთო ხელმძღვანელთა წინადადებას 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივად გამართოს.

ჟ. ავილანჟმა თქვა:

— კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი მასპინძლობის ვითარებაში მრავალი რთული პრობლემა გვექნება, კერძოდ, სიძნელეს იწვევს ვიზების გაცემა, პასპორტებით უზრუნველყოფა, ტრანსპორტისა და სხვა საკითხები.

პრეზიდენტმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობაზე პრეტენდენტებად რჩებიან მაროკოს, ჩილისა და ბრაზილიის ფედერაციები. თუ რომელ ქვეყანაში ჩატარდება მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი, დადგინდება 1988 წლის ივნისში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მადლობა გამოთქვა 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის კარგ ორგანიზაციაზე, რომელიც კანადაში მიმდინარეობს.

## საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

**ირკუტსკში** მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალში ქართველი გოგონები ქეთევან კახიანი და ციური კობაიძეც მონაწილეობენ.

II ტურში რუბცოვამ მოუგო ტიმოშჩენკოს, ლომაკინამ — კობაიძეს, კოგანმა შავებით — კახიანს, სონმა — დომკუტეს, პოლნარიოვამ — მედვედევას. ჩელუშკინა და ხოროვეცი დაზავდნენ. გადაიდო იურიევა-ასეევას შეხვედრა.

III ტურში კობაიძემ მოუგო დომკუტეს, ლომაკინამ—კოგანს, ხოროვეცმა—სონს. ყაიმით დამთავრდა რუბცოვა-ჩელიუშკინას, კახიანი-ასეევას, მედვედევა-ტიმოშჩენკოსა და პოლნარიოვა-იურიევას შეხვედრები.

IV ტურში კობაიძემ შავებით მოუგო ხოროვეცს. დანარჩენი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

V ტურში სონმა მოუგო მედვედევას, ჩელუშკინამ-პოლნარიოვას, ტიმოშჩენკომ-იურიევას, რუბცოვამ-კობაიძეს, ასეევამ-დომკუტეს; ყაიმით დამთავრდა კოგანი-ხოროვეცისა და კახიანი-ლომაკინას პარტიები.

VI ტურში რუბცოვამ მოუგო კოგანს, ასეევამ—ხოროვეცს, კახიანმა შავებით—დომკუტეს, ჩელუშკინამ—ტიმოშჩენკოს. ყაიმით დამთავრდა კობაიძე-მედვედევას, პოლნარიოვა-სონისა და იურიევა-ლომაკინას შეხვედრები.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობენ ჩელუშკინა და რუბცოვა, კახიანს 3,5, კოგანს —3 ქულა აქვთ.

## ოთხი ტურის შემდეგ

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში საინტერესოდ მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირი.

მესამე ტურში ქეთევან არახამიამ მოუგო ფრომეტას, სემიონოვამ — კადილკარს, სახატოვამ — მატვეევას. ყაიმით დამთავრდა ბრუსტმან—იოსელიანის პარტია. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: არიასი-ტრაბერტი — 0:1, მაქსიმოვიჩი-ივანკა — 0:1, ნიკოლინი-პეტროვიჩი — 0:1, ხოიბერგი-ვერეცი — 0:1, შილანი-კანელა — 0:1.

მეოთხე ტურში ნანა იოსელიანმა დაამარცხა არიასი, სახატოვამ — ფრომეტა, სემიონოვას პარტია მატვეევასთან ყაიმით დამთავრდა. ქეთევან არახამია დამარცხდა ბრუსტმანთან. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები: პეტროვიჩი-ხოიბერგი — 0:1, ტრაბერტი-მაქსიმოვიჩი — 0:1, კანელა-კადილკარი — 0,5:0,5, ივანკა-ნიკოლინი — 0,5:0,5, ვერეცი-შილანი — 0,5:0,5.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა 3 მოჭადრაკე, ესენი არიან: ნანა იოსელიანი, აგნეშკე ბრუსტმანი (პოლონეთი) და ტერეზა კანელა (ესპანეთი) — 3,5-3,5 ქულა თითოეულს.

## ეს ძნელი ტრიატლონი

ამ შეჯიბრების მონაწილეებს „რკინის ადამიანებს“ უწოდებენ. ისინი სწორედ ასეთ შეფასებას იმსახურებენ: ტრიატლონისტებმა ცურვით უნდა დაფარონ 3,8 კმ, შემდეგ ველოსიპედით დაძლიონ 180 კმ და ასპარეზობა მარათონული რბენით (42 კმ 135 მ) დაამთავრონ.

ფინეთის ერთ-ერთ რაიონში, იოროინენში გამართულ ევროპის მორიგ ჩემპიონატზე გამარჯვება ჰოლანდიელ აქსელ კუნდერსს ხვდა წილად. ჩემპიონმა ტრიატლონის მთლიანი ტრასის გავლას 8:36.22,10 მოანდომა.

სპორტსმენებს, რომლებმაც სტარტი დილის 7 საათზე აიღეს, 17-გრადუსიან წყალში მოუხდათ ცურვა.

● **რომი.** [illegible] ფლიოში პირველმა გააუმჯობესა რეკორდი—13 წუთი 5 კმ-ზე რბენაში — 12.58,39) მიღწევა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების — „გოლდენ გალას“ მთავარი მოვლენა გახლდათ, აქვე, ოლიმპიური სტადიონის სექტორებზე არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის შედეგი აჩვენეს „სპორტის დედოფლის“ იმ რაინდებმა, „გრან პრის“ პროგრამით რომ გამოდიოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის რეკორდსმენი, ლენინაკანელი რობერტ ემიანის მაჩვენებელი სიგრძეზე ხტომაში — 845 სმ. ბადროს მტყორცნელთა სექტორში კი უძლიერესი იყო ვილნიუსელი ევროპის ჩემპიონი რომას უბარტასი — 64,88 მ.

მალე ამავე სარბიელზე სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები გააგრძელებენ მსოფლიოს ჩემპიონის სახელისთვის „დავას“.

● **ლოზანა.** მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შორის გუნდური პირველობა უნგრელმა მოფარიკავეებმა მოიპოვეს. ჩემპიონებმა გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს რუმინელებს —9:6. ბრინჯაოს მედლისთვის დავაში კი იტალიელებმა ანგარიშით 8:5 დაჯაბნეს გფრ-ის სპორტსმენები.

შარშანდელმა ჩემპიონებმა, საბჭოთა კავშირის რაპირისტებმა მეოთხედფინალური ბრძოლა მომავალ ჩემპიონებთან წააგეს — 6:9 და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდნენ.

● **ლახტი.** ფინეთის სასროლეთზე დაიწყო ევროპის პირველობა. საბჭოთა მსროლელებმა უკვე ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში გამართულ იუნიორთა ასპარეზობაში ჩვენმა გუნდმა მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა (1784 ქულა). გუნდის ლიდერი ბრესტელი ს. მარტინოვი უძლიერესი იყო პირად პირველობაში 598.

● **ტალინის** ყურეში გრძელდება ბალტიის XXXVII ტრადიციული საერთაშორისო რეგატა, რომელშიც საბჭოთა იახტსმენებთან ერთად გამოდიან ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კიპროსის, კუბის, პოლონეთის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. „ვარსკვლავის“ კლასში ფინიში პირველმა გადაკვეთა მესაჭე გურამ ბიგანიშვილის იახტამ. თბილისელი სპორტსმენი ახლა რიგელ ალექსანდრე მუზიჩენკოსთან ერთად გამოდის.

● **მოსკოვი.** აქ გრძელდება ფრენბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ა. ჩინილინის ხსოვნის პრიზზე. დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა წინასწარი შეხვედრები — ევროპის ჩემპიონებმა—საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს (3:1) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდს. ეს ქულა მათ ფინალშიც გაჰყვებათ.

● **პარიზი.** ქალთა ველორბოლის — „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთი ყველაზე მოკლე — მე-12 ეტაპი მსოფლიო ჩემპიონმა ჟანი ლონგომ მოიგო (1.40,40). ასეთივე შედეგით მეორე იყო იტალიელი მარია კანინსი. მომდევნო ადგილები დაიკავეს უტე ენცენუერმა (გფრ, 2.10) და ლვოველმა თამარა პოლიაკოვამ (2,13). მე-13 ტურის შემდეგ ლიდერობა ჟანი ლონგომ იგდო ხელთ — 23:56,38. მეორე ადგილზე გადაინაცვლა იტალიელმა მ. კანინსმა. მესამეა უტე ენცენაუერი, მეოთხე თ. პოლიაკოვა.

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 26 ივლისი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია).** დასაწყისი 18 ს. 30 წ.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] კორპუს სში, [illegible] ქ. 29. უე 07084